პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის

კომუნისტი

კომიტეტების — და — სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების

ცაკის ორგანო

რედაქცია

თბილისი, კაშენა (ყოფ. დიდი მახათას) ქ. № 68, მეორე სართული

რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე

გარდა კვირა-უქმეებისა დღის 10 საათიდან და ხის 12 საათამდე.

ტელეფ. { რედაქტორის 14—26 მდივნის 10—58

მთავარი კანტორა

თბილისი რუსთაველის პრ. № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი

ერთ. - მოსაშახურებით: ერთი თვით, წლით, ექვსი თვით, სამი თვით

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.— 1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებანი, გარდა განცხადების ფასისა, იბეჭდა 10 % ადგილობრივ გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეითანხმებით. მთავარი კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სმგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტის“-ს ექსპედიციაში მოთავსებულია კაშის ქ. № 68, ტელ. 5—43

დღიური

— საფრანგეთის კომპარტიამ მოაწყო ანტი - იმპერიალისტური დემონსტრაციები

— ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაული რუმინეთში

— ავსტრიის კომპარტიის ანტიშაშისტური დემონსტრაცია

— უცხოეთის მუშათა დელეგაციები პრაღის ალმასბაზროში

— საბჭოთა მუშების დელეგაციები საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში

ოთხშაბათი, 13 ნოემბერი 1929 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 261 (2607)

სოციალისტური შეჯიბრების შემოწვევა თითქმის ყველგან დამთავრდა.

ამავე დროს დაიწყო სამეურნეო - პოლიტიკურ ხელშეკრულებათა გადასინჯვა. ჩვენ ზედმიწევნით უნდა გამოვიყენოთ განვლილ თვეების გამოცდილება, რათა შეჯიბრება უფრო მოლაღ საფუძვლებზე ვაიყვანოთ და უზრუნველვყოთ, როგორც ახალ ხელშეკრულებების დადების სწორად ჩატარება, ისე მათი სავსებით და გადამეტებითაც შესრულება.

სოციალისტურმა შეჯიბრებამ, როგორც ჩვენი მშენებლობის მასიურმა მეთოდმა, უკვე უალრესი ნაყოფი გამოიღო. შეჯიბრების მნიშვნელობა პირველ ყოვლისა იმით გამოიხატა, რომ მან მტკიც შეუწყო ხელი მზრომელედ შეენების ზრდას, მათ მობილიზაციას პარტიის სამეურნეო ხაზის გარშემო, მათი თაოსნობის და შემოქმედებითი აქტივობის გაშლას დასახულ სამეურნეო პროგრამის გასატარებლად. ამას ბევრად მიეწერება ისეთი უდიდესი მიღწევა, როგორიცაა 1928-29 წლის სამრეწველო გეგმის მთლიანად და, მთელ რიგ ძირითად ნაწილში, სავრძნობი გადაჭარბებითაც განხორციელება.

მაგალითად, საქართველოს უმაღლეს სამეურნეო საბჭოს გამგებლობაში მყოფ მრეწველობის პროდუქციის ღირებულება წინა წელთან შედარებით 41.2 პროც. გადიდდა, საწარმოო დისციპლინა 31 პროცენტით განმტკიცდა (განაცდენების შემცირება), შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 14,5 პროც., თვითღირებულებამ დაიკლო დაახლოებით 8 პროც. (ამგვარად, ორ უკანასკნელ მხ.წელში მიღწეული გეგმის განხორციელებისთვის.

შემდეგი მომენტი, რომელსაც აქ გვინდა ყურადღება მივაქციოთ, ესაა შეჯიბრების მსვლელობის აღრიცხვა. ეს საქმეც ძალიან ცუდად იყო დაყენებული. დამკვირვებლ ბრიგადების ყრილობაზე თითქმის ყველა ერთხმად ჩიოდა: ადმინისტრაცია არ აწარმოებს სოციალისტური შეჯიბრების საშუალებით მიღწეულ შედეგების აღრიცხვას. ეს კი ანელებს იმ ენტუზიაზმს, რომელიც გამსჭვალულია არიან სოცშეჯიბრებაში ჩაბმული მუშები. **სრულიად შეუწყნარებელი მდგომარეობაა.** ასეთ უყურადღებობას შეჯიბრებისადმი ჩვენ **გადაჭრით უნდა შევებრძოლოთ.** შეჯიბრების მიმდინარეობას, მის თვითეულ წარმატებას თუ ნაკლს სისტემატიურად უნდა აჭბობდენ მუშებს. ეს ერთ-ერთი მთავარი პირობაა მათი დაინტერესებისათვის წარმოებით, მიღწევების განმტკიცება - გაფართოებისათვის და ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ვერ არის მოწესრიგებული მუშათა საქმიან წინადადებების გატარება. სოციალისტურმა შეჯიბრებამ მუშების ინიციატივა და გამომჟორებლობითი უნარი განავითარა. ისინი მრავალ საგნულისხმო წინადადებებს და მითითებებს იძლევიან წარმოების რაციონალიზაციაზე. მაგრამ ყოველივე ამაა განზორციელება ბრკოლდება **ადმინისტრაციის დაუდევრობით.** მაგალითად, ჰიაფორის მაღაროებში საწარმოო თათბირების 245 წინადადებიდან გატარებულ იქნა, მხოლოდ 102, ბევრგან კი გაცილებით უარესი მდგომარეობაა. აქასთან უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაცია ან სულ არა, ან ძალიან უხალისოდ აჯილდოებს ხასარგებლო წინადადებათა და გაუმჯობესებათა ავტორებს. ყოველივე ეს დიდად ფერხებს მუშათა თაოსნობისა და საერთოდ სოციალისტური შეჯიბრების გაშლას. ეს ნაკლი **უნდა აღმოიფხვრას.** ამ მხრივ კერძოდ დიდი მნიშვნელობა აქვს სათანადო საკავშირო ორგანოების დადგენილებას, რომ საწარმოთა დირექტორების თანაშემწეებად, ცდის სახით, ზოგან დანიშნულ იქნან საწარმოო თათბირების და დროებითი საკონტროლო კომისიების თავმჯდომარენი — საწარმოო თათბირების წინადადებათა გატარების მიზნით. ეს დადგენილება, ცხადია, უნდა განხორციელდეს საქართველოს პირობებშიც.

ის ნაკლოვანებანი, რომელნიც ჩვენ აღვნიშნეთ სოციალისტურ შეჯიბრების საქმეში, უწინარეს ყოვლისა შეიძლება შეჯიბრების სუსტი ხელმძღვანელობისა ადგილობრივი პარტიულ და პროფორგანიზაციების მხრით. დამკვრელ ბრიგადების ყრილობაზე ამხ. სტალინის სახელობის მუშათა წარმომადგენლები აცხადებენ: მუშათა ბრიგადებს ქარხანაში ყოველგვარი ხელმძღვანელობის გარეშე უხდებიათ მეგობრობა. პარტუჯრედს და ქარხკომს თითქმის არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ ბრიგადების რიცხვბრივად გაზრდისათვის, და თუ ბრიგადებს რაიმე მიეწევებით აქვთ, ეს აიხსნება ბრიგადების წევრთა ინიციატივით და თავდადებული მუშობით. ასეთი დახასიათება, ეჭვი არ არის, შეეფერება ზოგიერთ სხვა საწარმოთა პარტიულ და პროფკავშირულ უჯრედებსაც. ადგილობრივ პარტიული და პროფესიულ ორგანიზაციები ბევრად უკან რჩებიან მასების გაზრდილ აქტივობას და ჯერ კიდევ ვერ ახერხებენ სოციალისტური შეჯიბრების სწორი ხელმძღვანელობის განხორციელებას. კიდრიდე ეს თითქმის ხელმძღვანელობაზე დამკვრელ ბრიგადებს მიმართ, რომელნიც სოციალისტურ შეჯიბრების პროცესში წარმოიშვნენ, როგორც მუშათა მოწინავე რაზები. მრავალ საწარმოსთან ბრიგადები სრულებით არ არიან ჩამოყალიბებული. ზოგან კიდევ მათი რიცხვი ძალზე მცირეა; ჭიათურაში მაგ., სადაც თითქმის ათი ათასამდე მუშაა დასაქმებული, მხოლოდ ხუთი ბრიგადა არსებობს. ცალკე ბრიგადების რიცხვობრივი შემადგენლობა, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, ძალიან მცირეა. ჩვენი ამოცანა კი იმაში მდგომარეობს, რომ მთელი მუშათა მასები დამკვრელ ბრიგადებად ვაქციოთ. ადგილობრივ პარტიულ და პროფესიონალურ ორგანოების ხელმძღვანელობის სისუსტესთან ერთად, აქ, ცხადია, ბრალი მიუძღვით სამეურნეო დაწესებულებათა ხელმძღვანელებსაც, რომელთაგან ზოგი კიდევ ალმაცერად უყურებს საერთოდ სოცშეჯიბრებას, ჯერ-ჯერობით კი ბრიგადების ორგანიზაციას. ბრიგადების ყრილობაზე სიხუმის კაგშირგაბმულობის ბრიგადის დელეგატმა ასეთი ფაქტი აღნიშნა: როცა ბრიგადამ ადმინისტრაციის მიმართა თხოვნით — ეწყობილება ბრიგადის მუშაობის აღრიცხვა, ადმინისტრაციის მეთაურმა ასეთი პასუხი გასცა: „მე ვსცნობ მხოლოდ ისეთ ბრიგადას, რომელიც ჩემი სანქციით იქნება დაარსებული. თქვენ კი თქვენი სოციალისტური შეჯიბრებით მხოლოდ ართულებთ საქმესო“. ჩვენ გადაჭრით, წესრიგისკენ უნდა მოუწოდოთ ასეთ „ადმინისტრატორებს“, რომელსაც დღემდე ვერ შეუგნიათ სოციალისტური შეჯიბრების მნიშვნელობა და ცდილობენ მუშათა მასების თვითმოქმედების შეზღუდვას. ამასთან აშკარაა: ამგვარი გამოსვლა ააშკარავებს პარტიულ და მუშათა სხვა ორგანიზაციების სისუსტესაც. უნდა მივაღწიოთ ამ უკანასკნელების მხრივ შეჯიბრებაზე სწორი ხელმძღვანელობის გაძლიერებას. მხოლოდ ამ გზით შეიძლება მისი შემდგომი განვითარება და მასების უფრო აქტიური მონაწილეობა. მხოლოდ ამ გზით შეიძლება უზრუნველვყოთ მრეწველობის გარეგნობის იმ მაღალი ტემპის გატარება, რომელიც 1929-30 წლის საკონტროლო ციფრებშია დასახული.

მაკდონალდი აგრძელებს ბოლშევიკის პოლიტიკას.

ჰუვერის განცხადება მშვიდობიანობის პროგლემის შესახებ

„ამჟამად არმიების რაოდენობა უდრის 30 მილიონს, ე. ი. 10 მილიონით მეტს, ვიდრე ეს იყო მსოფლიო ომამდე“

ინგლისის პოლიტიკა უცხოეთში უცვლელი რჩება

ლონდონი, 11 ნოემბერი. რეუტერის სააგენტო იუწყება: ბოლოდროინდელ წერილის სპასპასუხოდ **მაკდონალდმა** განაცხადა: **მეფის მთავრობის დეკლარაცია ინგლისის წინანდელი პოლიტიკის არავითარ ცვლილებას არ ითვალისწინებს ინდოეთის მიმართ, არც ამჟამად, არც მომავალში,** როდესაც ინდოეთს შეიძლება მიენიჭოს თვითმმართველი დომინიონის უფლებანი“.

როგორ ესმით იმპერიალისტებს განიარაღება

ჩრდ.-ამერ. შეერთ. შტატების პრე ზიდენტის ჰუვერის განცხადება

ნიუ - იორკი, 11 ნოემბერი. 11 ნოემბერს, ზავის ჩამოგდების წლისთავზე ჰუვერმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც შეეხო მშვიდობიანობის პრობლემას.

ჰუვერმა სთქვა, **რომ** საერთაშორისო ნდგომარეობა „შედარებით მშვიდობიანია“, მაგრამ აღნიშნა, რომ **მთელს მსოფლიოში არსებობს საერთო რაცხვი, რეზერვებთან ერთად, შეადგენს 80 მილიონ კაცს, დაახლოებით 10 მილიონით მეტს, ვიდრე მსოფლიო ომამდე.** ჰუვერმა სთქვა, რომ ჩრდ.-ამერ. შეერთ. შტატები ზოგიერთი ჩვენგანის აზრით, ძალიან ცოტა ჯარს ინახავს. ჩვენ ამ საკითხზე ორჯერ ვიმსჯელეთ ჩვენს ეროვნულ საბჭოში და ორივე ჯერ ერთხმად დავადგინეთ, რომ ჩვენ ჯარის ზომა ისეთი უნდა იყოს, რომ ის ეროვნული თავდაცვის საჭიროებას შეეფერებოდეს. ჩვენ ვერ ვიტყვით

უზრუნველვყოთ მებამბეობის სწრაფი განვითარება საქართველოში

სახ. კ. პ. (ბ) ცეკამ მებამბეობის მდგომარეობა სცნო არადამაკმაყოფილებლად

მებამბეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა არ ამოსწურავს ქვეყნის ყველა რეალურ შესაძლებლობას

ხუთი წლის გოლოს გამგით დათესილი იქნება 30.000 ჰექტარი

„მებამბეობის ეხლანდელი მდგომარეობა არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად გავების ნათესების სივრცის ზრდის ნელი ტემპისა და მცირე მოსავლიანობის გამო. ასეთი მდგომარეობის მთავარი მიზეზია ის, რომ სამეურნეო, საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციები საჭირო ყურადღებას არ აქცევდნენ მებამბეობის განვითარების საქმეს“.

„მებამბეობის განვითარების ღონისძიებათა წარმატებით შესრულების ძირითადი პირობაა მთელი პარტიულ-საბჭოთა მუშაობის გარდაქმნა მებამბეობის რაიონებში. მებამბეობის რაიონების ყველა ორგანიზაციების, პირველ რიგში ამ პარტიულ ორგანიზაციების მუშაობაში მებამბეობის პროდუქციის გადიდების პრობლემა უდიდესი მნიშვნელობის ამოცანად უნდა იქნეს მიჩნეული“ (სახ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილებიდან)

საკუთარი ნედლეული გაზა ჩვენს საფეიქრო მრეწველობას

მებამბეობის შესახებ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას მიერ მიღებულ დადგენილებაში ვკითხულობთ: „საკავშირო მებამბეობის განვითარება მიმდინარე ხუთწლედში უნდა წარიმართოს ყველა ჩვენი შესაძლებლობის მაქსიმალური გამოყენების გზით—ბამბის ნათესების გადიდებისათვის და ბამბის მოსავლიანობის გადიდებისათვის, რათა ხუთწლედის დასასრულისათვის კავშირის საფეიქრო მრეწველობა არამც თუ გავითვისებუფლით უცხოეთიდან შემოზიდულ ბამბიდან, არამედ შეეძლოს ბამბის მოსავლიანობის გასაღებლადაც.

საბჭოთა კავშირში მებამბეობის რაიონების წარმოადგენენ შუა აზია და შემდეგ ამიერკავკასია. ბამბის ნათესების სივრცემ აქ სარეთოდ უკვე გადაჭარბა ომის წინანდელ დონეს (კერძოდ საქართველოში—1,2 პროცენტით). მაგრამ ცუდი მდგომარეობაა მოსავლიანობის მხრივ: საბჭოთა კავშირის მასშტაბით ჰექ შეადგენს ომის წინა დროის 90 პროცენტს, საქართველოში კი მხოლოდ 55 პროცენტს. როგორც ვხედავთ, არც ბამბის ნათესების დღევანდელი სივრცე, არც მისი უმეტეს, მისი მოსავლიანობა, არ შეიძლება საკმარისად ჩაითვალოს. საეჭვოა ნაწარმოები ნაკლებობა, რაც გამოწვეულია ნედლეული მასალებით და მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნილება ამ ნაწარმოებებზე. ჩვენს წინაშე მთელი თავისა სიმწვავით აყენებენ ბამბის მუშურნეობის სწრაფი განვითარების ამოცანას.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკამ ამ მიზნით ჯეგმის საფუძველიანად გადახედნევა, იმ ანგარიშით, რომ 1932 წლის (ხუთწლეულის უკანასკნელი წელი) ბოლოსათვის ბამბის მოსავალმა მთელ კავშირში მიაღწიოს 48 მილიონ ფუთს ბოჭკოს წინად წელთან შედარებით ამიერ-კავკასიაშიაც გადაიიგება სათანადო ნაბიჯები, ა.-კ. სოციალ კომპიტეტის დადგენილების თანახმად, ჩვენს ფედერაციაში 1932 წლის ბამბის მოსავალი უნდა იყოს არა ნაკლებ 5.150.000 ფუთისა განწრახული 4.800.000 ფუთის ნაცვლად, ხოლო საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას დადგენილების მიხედვით, ხუთი წლის განმავლობაში ბამბის ნათესების სივრცე უნდა ფეროდეს 80.000 ჰექტარს. (1929 წ. შეადგენს 8.293 ჰექტ.). აღსანიშნავია, რომ ხუთწლიანი გეგმის პირველი ვარიანტით გათვალისწინებული იყო 22.000 ჰექტარი, ხოლო საქართველოს მებამბეობის კომიტეტის მიერ ეს რაოდენობა შემცირებულ იქნა—18.000 ჰექტარამდე. აშკარაა, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვსდა მებამბეობის მეურნეობის მნიშვნელოვანის ნაკოის შეფასებაა თან—ერთი მხრით, ხოლო მეორეთი—მებამბეობის განვითარებისათვის მთელი ჩვენი შესაძლებლობათა გაუთვალისწინებლობასთან. ეს შეცდომა ახლა გამოსწორებულია და პარტიის ხელმძღვანელ ორგანოს მიერ მოცემულია მტკიცე დირექტივა ბამბის კულტურის განვითარების დარგში.

რა ღონისძიებები უნდა გავატაროთ ამ მიზანთაღწევით? პირველ ყოვლისა უნდა გავაძლიეროთ საირიგაციო მუშაობა იმ რაიონებში, სადაც მებამბეობა განვითარებულია, ან სადაც ამისათვის ხელსაყრელი პირობები არსებობს. ეს მუშაობა უნდა უზრუნველყოფდეს საჭირო სააღწინებელო მასალებით, კვალიფიციური ტექნიკური პერსონალით და მუშახელით. ამ გზით ჩვენ შევძლებთ ბამბის ნათესებისათვის მიწის საკმაო რაოდენობის გამოყოფას. ამავე მიზნით აუცილებელია მებამბეობის რაიონებში ამ კულტურის გაფართოება სასოფლო მეურნეობის ისეთ დარგების ხარჯზე, როგორიცაა მემინდვრეობა, მებაღეობა, სათბებები და სხ., რომელთაც იქ, საკმაოდ დიდი ხვედრეთ უკავიათ და ზღუდავენ მებამბეობის განვითარებას. ამას მივაღწევთ იმ შემ - ხვევაში, თუ მებამბეობა ხასიათდება ინტენსიფიკაციით, თუ მებამბეობა ხასიათდება ინტენსიფიკაციით, თუ მებამბეობა ხელმძღვანელობა იქნება ხუთწლიანი ნაკვეთების სწორი ბრუნვის, ნაკვეთების სწორი ბრუნვის, ნაკვეთების სწორი ბრუნვის,

ახლოვდება შემოდგომის თესვის დამთავრების დრო

გამოვიყენოთ დარჩენილი დღეები თესვის გეგმის გადაჭარბებით განხორციელებისათვის

დაუყოვნებლივ მივმართოთ სათესლე მასალა დასავლეთ საქართველოს მეჩრომელ გლეხობას

შაუმიანის რაიონში თესვის სამეული 28 ოქტომბრამდე არ იყო გამოკუთხილი.—18 სექტემბერს გაგზავნილი კრედიტი მარნეულის რაიონში ერთი თვის შემდეგ მიიღეს

რა უშლიდა ხელს კამპანიის უფრო წარმატებით ჩატარებას

(ა.-ძ მუშათა და გლეხთა ინსპექციის იის კომისიის ღონისძიებანი)

მაინერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისიამ 11 ნოემბრის სხდომაზე განიხილა შემოდგომის თესვის კამპანიის ჩატარების შედეგები და დასახა მთელი რიგი ღონისძიებებისა.

კომისიების დაგვიანებული გეგმები და უმოქმედობა

მაინერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისიამ აღნიშნა: იმის ერთი მთავარ მიზეზთაგანი, რომ ზოგიერთი რაიონი ვერ ასრულებს საფუძვლიანად გაფანტოვებისა და მოსავლიანობის გადიდების შესახებ მიეცემულ დავალებას, არის ცენტრალური და სარაიონო გეგმების დაგვიანებით შედგენა (იმის გამო, რომ არ იყო გამოკუთხული საფუძვლიანი მასალის, სასოფლო-სამეურნეო ინარიების, კრედიტების და სხვ. რაობითობა) და ზოგიერთი თესვის კომისიის უმოქმედობა.

ამჟამად საჭიროდ იქნა ცნობილი, გაძლიერებულ იქნას რესპუბლიკასთან თესვის კომისიის ყურადღება ადგილებზე თესვის ორგანიზების შემდგომ ხელმძღვანელობისათვის და გაორკეცებით ენერგიით იყო საჭირო თესვის გეგმის განხორციელება, საფრთხე მოელის. დასავლეთ საქართველოსთვის კახეთის ოლქში დამზადებული 120 ათასი ფუთი სათესლე მასალა, ტრანსპორტის მოუგვარებლობის გამო, ჯერაც არ არის დანიშნულებისამებრ მიღებული. კიდევ უფრო აღსანიშნავია ქუთაისის ოლქიდან მიღებული ცნობები. პირველ ხანებში ქუთაისის ოლქისათვის გადადებული იყო 248 ტონა სათესლე მასალა. როდესაც გაითარკვა, რომ ოლქში დიდ მოსავალიანობას აქვს ადგილი, დამატებით გადადგდა კიდევ 930 ტონა. თესლის ორიგე პარტია სათესლე ხელისუფლებამ თავის დროზე გაანაწილა თემსაბჭოებს შორის. ამის შესახებ ცნობა როგორც ცენტრს, ისე „სოფლის კავშირს“. მიუხედავად ამისა ადგილობრივ ჯგუფებში ისევ მარცვალი სათესლე მასალის არ არის მიღებული. ადგილი აქვს შემთხვევებს, როცა თესლი გადაგზავნილია ისეთ რაიონებში, სადაც მასზე მოთხოვნილება არ იყო, ხოლო ამჟამად საჭირო ხდება მისი სხვა რაიონებში გადაგზავნა. რა არის ეს თუ არა აშკარა დაუდევრობა, რომელიც დანაშაულს უდრის?

თესვის კამპანიის ჩატარებას აფერხებენ ასე მარტო სათესლე მასალის თავის დროზე მიწოდებლობა, არამედ მთელი რიგი სხვა დაბრკოლებანი. პირველ ყოველისა აღსანიშნავია ტრაქტორების გამოყენების მოუწესრიგებლობა. უმთავრესი ორგანიზებას დაგვინებით, საწვავი მასალა ტრაქტორებისათვის კომპეტენციების და მწარმოე ლებისას უნდა მიიცეს კრედიტის სახით. მაუხედავად ამისა, ეს დაგვინებები ცხოვრებაში არ ტრაქტორებს და ტრაქტორების უმრავლესობა საწვავი მასალის სიმკირის გამო უქმად სდგას. ეს უნდა მიეწეროს თესვის კამპანიის ჩატარების ხელისუფლების ზედმეტ ფორმალიზმს. ტრაქტორების ნაკლებად გამოყენებაში ბრალი მიუძღვის ტრაქტორების ადგილობრივ ორგანოებსაც, რომელნიც ზედმეტ ფორმალიზმს იჩენენ ტრაქტორების გადაადგილების საკითხის გადაწყვეტისას.

მაზუთი ნავთის ნაცვლად

საქართველოს მუშკლუბების წარადგინა მიეცა—სააქციოს გამოარკვიოს, თუ პერსონალურად ვის მოუღია ბრალი, რომ სოფ. ბერეთში (ქარელის რაიონში) ნავთის ნაცვლად მაზუთი გაიგზავნა; დამნაშავენი პასუხისგებაში იქნან მიცემული. ასევე სასწრაფოდ უნდა გამოირკვეს, თუ რა მიზეზით შესაცვლელ თესვის კამპანიის საქართველოს რწმუნებულის დირიქტიგი რაჭა-ლეჩხუმის რაიონსასთვის ავლენ სპრულს შესახებ ცნობებისა. ბენეფიციარი ტრაქტორების ნაკლებობის გამო ვერ ახერხებს ტრაქტორების ნაკლებობის გამო ვერ ახერხებს ტრაქტორების ნაკლებობის გამო ვერ ახერხებს

ქრონიკა

კულტურულ - საგანმანათლებლო დაწესებულებათა ბადაქვანა ხუთდღიან კვირაზე

განათლების მუშაობა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა მოიწონა კულტურულ - საგანმანათლებლო დაწესებულებათა ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადაყვანის პროექტი. განთავისუფლებული საღამოლა შენობები გამოყენებული იქნება საყმაოლა მუშაობის გასაუმჯობესებლად და მოწყვეთა რიცხვის გასაზრდელად. (ალს).

საქ. წითელი ჯვრის საზოგადოების ახალი თავმჯდომარე

საქ. წითელი ჯვრის ცენტრ. კომიტეტის უკანასკნელმა პლენუმმა თხოვნის თანახმად საზოგადოების თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლება ამხ. **მამულია.**

საქ. წითელი ჯვრის თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. **შამწე ლეჟავა.**

საქ. მუზეუმის ახალ შენობაში

საქ. მუზეუმის ახალ შენობაში დაიწყო სხვადასხვა განყოფილებების მოწყობა. სახ. უნიფიკაციებიდან უკვე გადმოტანილი და ამ მოყენილია ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მთელი ქონება. გადმოტანილია აგრეთვე სათეატრო და პედაგოგიური მუზეუმების ექსპონატები. მუზეუმის გახსნა განსახლული ახლო ხანში.

ერგო და ყველი

სატრანსპორტო-სამომხმარებლო კოოპერაცია დღეიდან შეუდგება ერთის გაცემას თავის წევრებზე. თვითეულ წევრს მიეცემა ერთი კილო ერბო, 3 მ. 20 კ. 15 ნოემბრიდან კოოპერატივი თავის წევრებს დაურიგებს ფიქსურ ყველს.

პროფშეუაკთა ჯგუფდა

15 ნოემბრიდან დაიწყება პროფკაპარატის მუშაკთა წევრეა. პირველ რიგში წევრდა ჩატარებული იქნება ამიერკავკასიის პროფკავშირთა საბჭოში, შემდეგ საქ. პროფსაბჭოში, ცალკე კავშირების ცენტრ. გამგეობებში და სოფლო პროფორგანიზაციებში.

ცენტრალურ კავშირებთან დაარსებულია წევრების ხელისშეწყობი კომისიები და მუშათა ბრიგადები.

თბილისის აღმასკომში

◄► **მეეზოვეთა ქვე-განყოფილება.** თბ. აღმასკომში საქიროდ სცნო ადმინისტრასთან დაარსდეს მეეზოვეთა ქვე-განყოფილება.

◄► **მიწამომწყობა.** საადგილ-მამულო განყოფილებას დაევალა დაჩქარებით ჩატაროს მიწამომწყობა ხეების ჩაიონში და იმავე დროს შეისწავლოს ამ რაიონში ალპური მცენარეების გაშენების საქმე.

◄► **მეფრინველეობის განსავითარებლად** თბ. ოლქში გადადებულია 5000 მანეთი.

საქ. საბინაო კავშირში

◄► **საბაშვო ბაღები** — ამ დღეებში 6 საბინაო - საოჯახო ამხანაგობებთან გაიხსნება საბავშო ბაღები.

◄► **წ.-ჯ. უცოდინარობის ლიკვიდაცია** — წ.-ჯ. უცოდინარობის ლიკვიდაციის მიზნით, საქ. საბინაო კავშირმა გახსნა წერა - კითხვის უცოდინართა საღამოები 20 სკოლა.

სხვადასხვა

◄► ვიქტორ შკლოვსკის ლექცია. სამშაბათს, 19 ნოემბერს, საღამ. 8 საათ., განათლების მუშაკთა სახლში (კალოუბნის ქ. № 3) საქართველოს მოიტელთა კლუბ - საზოგადოება ხელისურ - ახალგაზრდობის კურსების სასარგებლოდ მართავს ბ. შკლოვსკის ლექციას — «რუსული შემდეგ თემაზე: «ფარი და სპასარატი» (ფშავ - ხევსურეთი).

ხელოვნების ქრონიკა

„თანამგზავრობის პრობლემა". 13 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, ხელოვნებათა სასახლეში საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის რუსული სექციის მართველი დისპუტს შემდეგ თემაზე: **„თანამგზავრობის პრობლემა".** წესისაა სატყვას წარმოსთქვამს ამხ. თათოლოვი. დისპუტში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან: ჩიქოვანი, ჭიაჩელი, ჯღენტი, შკლოვსკი, აგრეთვე საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ყველა წევრები — მუშკორები, სამხედროები და საბიბლიოთეკო აქტივი. შესვლა თავისუფალია.

—:—

◄► **დისპუტი. ხუთშაბათს,** 14 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, თბილისის მუშათა თეატრში **„ზარია ვოსტოკა"-ს** ლიტერატურული განყოფილება და საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის რუსული სექცია აწყობს დისპუტს ვ. კირშონის პიესის—„ქარხანა ქალაქი"-ს დადგმის შესახებ. შესავალ სიტყვას წარმოსთქვამს თბილისის მუშათა თეატრის ხელმძღვანელი გრიაჩინი.

დისპუტში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის წევრები, მუშათა თეატრის არტისტები და სახელოვნო სპეციალ წევრები, მუშკორები და სამხედროები. შესვლა თავისუფალია.

◄► **„ვერტერი".** დღეს ოპერის თეატრში აბონემენტის გარეშე წარმოდგენილი იქნება „ვერტერი".

◄► **„ქარხანა ქალაქი"** დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ქარხანა ქალაქი", შაბათს, 16 ნოემბერს—„დვარძლი".

◄► **ბოშების კონცერტი.** რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში დაიწყო მოსკოვის ბოშათა გუნდის კონცერტები.

დაუსწრებელ რადიო-კომუნისტურ უნივერსიტეტში მიღების და სწავლების წესები

1. დაუსწრებელი რადიო - კომუნისტური უნივერსიტეტი წარმოადგენს უმაღლეს დაუსწრებელ პარტიულ სკოლას, რომელიც თვის ამოცანად ისახავს პარტიულად და კომკავშირულად აქტივის სხვადასხვა ჯგუფების კვალიფიკაციის ამაღლებას — აქტივის მიერ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შეთვისებას და ამ მოძღვრების გამოყენებას ცხოვრებაში, სოციალისტური შენებლობის პრაქტიკაზე.

2. უნივერსიტეტის სასწავლო გეგმაში შედის შემდეგი დისციპლინები: საყაპ(ბ)პ ისტორია, ეკონომიური პოლიტეკა, კლასობრივი ბრძოლის ისტორია. ეკონომიური ლ ოგიკა, პოლიტიკური ეკონომია, ისტორიული მატერიალიზმი, ლენინიზმი, მიმდინარე პოლიტიკის კურსი და სხვ.

3. დაუსწრებელ რადიო - კომუნისტურ უნივერსიტეტი გათვალისწინებულია პარტიასა და კომკავშირის წევრებისა და კანდიდატებისათვის, პირველ ოიგში პარტიული და კომკავშირული აქტივისათვის, აგრეთვე უპარტიო აქტივისათვის. დაუსწრებელ კომუნისტურ უნივერსიტეტში მიღებისან ის ამხანაგები, რომლებიც აქმაყოფილებენ შემდეგ პირობებს:

ა) მათ უნდა ჰქონდეთ პარტკანალების სრული საფეხურების პროგრამის დონეზე არა ნაკლები პოლიტიკური მომზადება (საღამოს სახვათა პარტიული სკოლა, მარქსისტულ-ლენინური წრე და სხვ.);

ბ) წ.-ჯ. საქმაო ცოდნა, რომელიც საშუალებას მისცემს მათ დამოუკიდებლად დაამუშაონ საკონ ლიტერატურა — წერილობით გამოსთქვან თავიანთი აზრები, აწარმოონ არითმეტიკული მოქმედებანი მთელ რიცხვებზე და ნაწილებზე.

4. რადიო - კომუნისტურ უნივერსიტეტში არ აწარმოებს უნივერსიტეტში შესვლის შესრულებას გამოცდებს და მათი ზოგად - განათლებისა, და საზოგადოებრივ - პოლიტიკური მომზადების წინასწარ შემოწმებებს.

5. მსმენელთა საერთო რიცხვი პირველ კურსზე განსაზღვრულია 250 კაცით, აქედან პართულ სექტორზე იქნება 150, ხოლო რუსულ სექტორზე — 100 მსმენელი. ადგილები განაწილებულია ავტონომიურ, სალოკო და სამხრეთ ერთეულებს შორის. ანკეტები და ყველა საჭირო მასალა გადაეგზავნა ამავე პარტორგ კომიტეტებს.

6. დაუსწრებელ რადიო - კომუნისტურ უნივერსიტეტში შესვლის მსურველნი ვალდებულნი არიან წარადგინონ სალოკო და სამხრეთ კომიტეტებში განცხადებანი; მოკლე ავტობიოგრაფია, შემოწმებული ანკეტა და რეკომენდაცია ადგილობრივი პარტორგანიზაციისაგან. წარმოდგენილი განცხადებანი რადიო - კომუნისტურ უნივერსიტეტში ჩაირიცხებიან პარტკომის სალოკო და სამხრეთ კომიტეტების შუამდგომლობით. კანდიდატების შერჩევა ხდება სრული ნებაყოფლობის პრინციპზე.

7. შერჩეული კანდიდატების სახუთები პარტორგები კომიტეტებმა უნდა გადაგზავნონ რადიო - ცენტრში (აღმასკომის ქ. № 9) არა უგვიანეს ა. წ. 20. ნოემბრისა.

8. მეცადინეობა უნივერსიტეტში იწარმოებს ქართულსა და რუსულ ენებზე ოთხჯერ კვირაში (ორი საუბარი ქართულ ენაზე და ორი — რუსულზე).

9. რადიოსთან გადაცემული ლექციები დაუწერებელი კომუნისტურის უნივერსიტეტის მსმენელებს დაბეჭდილი გადაეგზავნებათ. ამ მსმენელები, რომელნიც დამაკმაყოფილებელად შეასრულებენ ყველა სავალდებულო საშუალოს, სასწავლო წ. დამლევს კომუნისტურ უნივერსიტეტის ხარჯზე გამოწერილნი იქნებიან თბილისში ორყვირულ კურსებზე — კონფერენციებზე.

10. მეცადინეობა რადიო - კომუნისტურ უნივერსიტეტში დაიწყება ა.-წ. 25 ნოემბერს.

საქართველოს კ. პ. (ბ) საოგტაბეთო - საბრომპაგანდო და ბეჭდვითი განყოფილების გამგე ჭოტიკაშვილი.

რადიო - ცენტრის სამეცნიერო - საგანმანათლებლო განყოფილების გამგე ხოკაში.

დაუსწრებელ რადიო-კომუნისტურ უნივერსიტეტის მსმენელთა განაწილება

	ქართული სექტორი		რუსული სექტორი	
1. თბილისის ოლქი	30 მსმ.	10 კანდ.	42 მსმენ.	15 კანდ.
2. ქახეთის ოლქი	17 „	4 „	5 „	—
3. გორის ოლქი	18 „	4 „	8 „	—
4. ქუთაისის ოლქ.	26 „	5 „	— „	—
5. ოზურგეთის მაზრა	10 „	3 „	— „	—
6. სენაკის მაზ.	10 „	2 „	— „	—
7. ზუგდიდის მაზ.	10 „	2 „	— „	—
8. ახალციხის მაზ.	3 „	— „	10 „	2 „
9. ახალქალაქის მაზ.	3 „	— „	10 „	2 „
10. სვანეთი მაზ.	2 „	— „	— „	—
11. აჭაოსტანი	15 „	4 „	10 „	2 „
12. აფხაზეთი	5 „	1 „	10 „	2 „
13. სამხრეთ - ოსეთი	2 „	— „	10 „	2 „
სულ	150 მსმ.	35 კანდ.	100 მსმენ.,	25 კანდ.

არქეოლოგიური აღმოჩენა

უძველესი სამაროები დიდუბეში

დიდუბეში, ლითონის დიდი ქარხნის საღრენაჟო სამუშაოების დროს მუშებმა აღმოაჩინეს ძველი სამარხები. ამ ამბავს ეცნობა ადგილობრივი ხალხი და ცნობისმოყვარენი მიეშურებიან ადგილისაკენ. ამ ამბავს ეხმაურება მთელი ქალაქი. ამ ამბავს ეხმაურება ქალაქის პრესაც.

ამ ამბავს ეხმაურება ისტორიული საზოგადოებაც. ამ საზოგადოების წევრები ეწვივნენ ადგილს, სადაც აღმოჩენილია სამარხები. ეწვივნენ ადგილს ისტორიის მოყვარულნი. ეწვივნენ ადგილს ისტორიის მეცნიერნი.

ეწვივნენ ადგილს ისტორიის მეცნიერნი, რათა ამ სამარხებიდან ამოიღონ ის ნივთები, რომელნიც ამ სამარხებში ჩაუდვამთ ჩვენს წინაპრებს, ჩვენს ისტორიულ წინაპრებს.

ეწვივნენ ადგილს ისტორიის მეცნიერნი, რათა ამ სამარხებიდან ამოიღონ ის ნივთები, რომელნიც ამ სამარხებში ჩაუდვამთ ჩვენს წინაპრებს, ჩვენს ისტორიულ წინაპრებს, რათა ამ ნივთებით ისტორიის მეცნიერნი ისტორიულად დაადგინონ ჩვენი ისტორიული წინაპრების ცხოვრების ხანა, ეპოქა, ხასიათი, ჩვენი ისტორიული წინაპრების ცხოვრების ხანა, ეპოქა, ხასიათი, ჩვენი ისტორიული წინაპრების ცხოვრების ხანა, ეპოქა, ხასიათი.

ეწვივნენ ადგილს ისტორიის მეცნიერნი, რათა ამ სამარხებიდან ამოიღონ ის ნივთები, რომელნიც ამ სამარხებში ჩაუდვამთ ჩვენს წინაპრებს, ჩვენს ისტორიულ წინაპრებს, რათა ამ ნივთებით ისტორიის მეცნიერნი ისტორიულად დაადგინონ